



ტრენინგ-პროგრამა

1. ტრენინგ-პროგრამის დასახელება: **„კლას-კომპლექტში მუშაობის სპეციფიკა და სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა“**
2. ტრენინგ-პროგრამის მომწოდებელი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა,
3. ტრენინგ-პროგრამის განმახორციელებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური): აჭარის განათლების ფონდი/ბათუმის მასწავლებლის სახლი
4. ტრენინგ-პროგრამის ავტორები: მზია სალაძე, ნინო ვაშალომიძე, ნინო მალაზონია, დალი თურმანიძე, ლეილა წულუკიძე.
5. ტრენინგ-პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები: განათლების დაწყებითი საფეხურის მოქმედი მასწავლებლები.
5. ტრენინგ- მოდულის / ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა: *10-20 მსმენელი.*
6. რეგიონული დაფარვა: აჭარა
7. ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება: 20 საკონტაქტო საათი (4 დღე, დღეში 5 საათი), 10 არასაკონტაქტო საათი.
8. ტრენინგ-პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით: 20 საკონტაქტო და 10 არასაკონტაქტო საათი.
9. ადამიანური რესურსი: შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი (ტრენერი/ტრენერები) მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ტრენინგი ჩატარდეს წყვილში.
10. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი: კომპიუტერი, პროექტორი, ფლიფჩარტები, მარკერები, სატრენინგო მასალა
11. ცნობის გაცემის წესი და პირობები: ცნობა გაიცემა ჩაბარებული შეფასების კომპონენტებისა და დასწრების საათების შესაბამისად.
12. მსმენელთა შეფასების სისტემა: კრედიტის მისაღებად მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შეფასებაში არსებული მოთხოვნები: დაესწროს ტრენინგის მინიმუმ 80%-ს და, ამასთან, 100-ქულიანი სისტემის შეფასების შკალის მიხედვით დააგროვოს მინიმუმ 61 ქულა.

შენიშვნა: საბოლოო შეფასება მოხდება კურსის დასრულებისას და დაეფუძნება შემდეგ კომპონენტებს:

კომპონენტები	კრიტერიუმები	ქულები
<i>სატრენინგო აქტივობებში მონაწილეობა</i>	მზაობა -10 ქ, მონაწილეობა - 10 ქ, თანამშრომლობა - 10 ქ, მიმღებლობა ახალი მიდგომებისადმი - 10 ქ	40 ქულა

<p>შემაჯამებელი ტესტი</p>	<p>ტესტი შედგება ტრენინგის ყველა მოდულისაგან. სულ 20 შეკითხვაა. დახურული კითხვები ფასდება 1 ქულით, ღია დაბოლოებიანი კითხვები - 2 ქულით. ტესტის შესავსებად გეძლევათ 15 წუთი.</p>	<p>24 ქულა</p>
<p>ტრენინგის შემდგომი დავალება</p>	<p>შესაბამისობა საგნობრივ სტანდარტთან - 9 ქ. დაგეგმილი აქტივობის მიზნობრიობა - 9 ქ. შეფასების კრიტერიუმები - 9 ქ. კლასის ორგანიზების ფორმები - 9 ქ.</p>	<p>36 ქულა</p>